თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი 2024-25 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში აცხადებს მიღებას შემდეგ სადოქტორო პროგრამებზე:

1. სახელოვნებათმცოდნეო კვლევები - 1 ადგილი
2. კულტურის კვლევები (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) – 1 ადგილი

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;
დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

<u>**პირველი ეტაპი: რეგისტრაცია**</u>

დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველებმა **2025** წლის 21 იანვრიდან 11 თებერვლის ჩათვლით ფაკულტეტის დეკანატში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები /12:00 საათიდან 17:00 საათამდე/:

- განცხადება დეკანის სახელზე;
- CV
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- სამოტივაციო წერილი, რომელშიც დასმული იქნება საკვლევი პრობლემა და მოცემული იქნება კანდიდატის ხედვა მისი გადაჭრის გზებზე;
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა სათანადო დასაბუთებით;
- სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა;
- 3 წლის სამუშაო გამოცდილება (შრომითი ხელშეკრულება ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი) უპირატესობა მიენიჭება შერჩეულ სფეროში პროფესიულ გამოცდილებას;
- უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (იხ. დანართი 1) ასლთან ერთად ან აკადემიის მიერ ორგანიზებული უცხო ენის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი მოწმობა

<u>**მეორე ეტაპი: გასაუბრება/პრეზენტაცია**</u>

მეორე ეტაპი (ზუსტი თარიღი გეცნობებათ) გულისხმობს გასაუბრება/პრეზენტაციას.

დოქტორანტობის კანდიდატი ფაკულტეტის საბჭოს წინაშე წარადგენს პრეზენტაციას საკვლევი თემის პრობლემატიკის შესახებ. გარდა პრეზენტაციისა დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს რეფერატი, არანაკლებ 15 გვერდისა (იხ. დანართი 2).

გასაუბრების შედეგები კანდიდატებს ეცნობებათ იმავე დღეს.

გასაუბრების შედეგად გამოვლენილი წარმატებული კანდიდატები, აკადემიაში სწავლის გაგრძელების სურვილის დასადასტურებლად და ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა გამოცხადდნენ რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დეკანატში (ზუსტი თარიღი გეცნობებათ)

შენიშვნა**:** ზემოთ აღნიშნული საბუთების წარმოდგენის გარეშე კანდიდატი ვერ გააფორმებს ხელშეკრულებას თსს აკადემიასთან სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხად.

შეკითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:
სამეცნიერო კვლევითი პროცესის შესახებ პროგრამის ხელმძღვანელებს: სახელოვნებათმცოდნეო კვლევები კონცენტრაცია: ახალი და უახლესი ქართული ხელოვნების ისტორია პროგრამის ხელმძღვანელები: ნინო ღაღანიძე - nino.gaganidze@art.edu.ge 599109649

1. კონცენტრაცია: შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ისტორია პროგრამის ხელმძღვანელი: ა.კლდიაშვილი - ana.kldiashvili@art.edu.ge 599510199
2. კულტურის კვლევები (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) პროგრამის ხელმძღვანელი: ლელა ფირალიშვილი - lela.piralishvili@art.edu.ge 577991901

რეგისტრაციის, სასწავლო პროცესისა და სხვა ტექნიკური საკითხების შესახებ:
საკონტაქტო პირი: ლოლა ციცხვაია lola.tsitskhvaia@art.edu.ge 591975217